

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030444522445215

04-142/ო

18 / მაისი / 2015 წ.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 16 თებერვლის
04-48/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 16 თებერვლის №04-48/ო ბრძანების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/5 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 მაისის N04-8374 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 16 თებერვლის № 04-48/ო ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე

მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მოსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზების მიზნით, მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღება-გადაცემასთან დაკავშირებით გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოთ:

ა) **ლელა მაჭავარიანს** – სააგენტოს ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ბ) **მარიკა თავართქილაძეს** – სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის და უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

გ) **რუსუდან მაჭავარიას** – სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

დ) **მალხაზ გოჩაშვილს** – სააგენტოს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ე) **ლუიზა იოსელიანს** – სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს და უფროსის მოვალეობის შემსრულებელს;

ვ) **დავით მუსერიძეს** – სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ზ) **მარიამ ხამბაძეს** – სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის და უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

თ) **ნინო ჭილაძეს** – სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსს;

ი) **თინათინ ბარსკის** – სააგენტოს კახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის და უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

კ) **ზაალ მიქელაძეს** – სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის შტატგარეშე თანამშრომელს;

ლ) **თეა ჩიხლაძეს** – სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

მ) **გოჩა ქვრივიშვილს** – სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს.“

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს

წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის, აგრეთვე, საჯარო გაცნობის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მაია მალაქელიძე – ხომერიკი) ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

